

მრავალფუნქციური და სარეკრეაციო სივრცის განვითარების გეგმა

ამირან რეხვიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა დემეტრაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ამირან რეხვიაშვილი

25.06.21

აბსტრაქტი

ბუნებრივი ჭალის ტყის კორომები ქალაქ რუსთავის რეკრეაციული სივრცის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომელთა მდგომარეობაც საკმაოდ რთულია. სხვადასხვა დროს ტერიტორიაზე გაიჩეხა ხეები, დაბინძურდა ნარჩენებისგან და დაავადებულ მცენარეთაგან, პრობლემას წარმოადგენს ტყეში გამავალი არხის ხარისხიც, რომელსაც აქვს არასასიამოვნო სუნი. ეკოლოგიურ ვითარებას ამძიმებს მის მიმდებარე ტერიტორიაზე წიდა საყარის არსებობა. კვლევა ჩატარდა ჭალის ტყის ახლანდელი მდგომარეობის შესწავლის, პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით. მიზნის მისაღწევად დავგეგმე სხვადასხვა ტიპის აქტივობა, ტერიტორია მოვინახულე საველე გასვლისას, გავეცანი სამეცნიერო ლიტერატურასა და სამომავლო პროექტირებისათვის შესაბამის მაგალითებს, ასევე ინფორმაცია მოვიძიე ტყეში არსებულ ხე-მცენარეთა ჯიშებსა და ფრინველთა სახეობებზე. კვლევის მიმდინარეობისას დამატებითი ინფორმაციის მოძიების და საპროექტო ხედვის წარმართვის მიზნით გამოიკითხა ქალაქის მოსახლეობა.

კვლევის შედეგად ინფორმაცია მივიღე ტყეში არსებულ ფლორისა და ფაუნის საკმაოდ მრავალფეროვან გარემოზე, როგორც აღმოჩნდა ტერიტორიაზე გავრცელებულია 40-ზე მეტი ჯიშის ხე-მცენარისა და 80-ზე მეტი ფრინველთა სახეობები. მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა 2 ნაწილად, ერთი მოიცავდა ონლაინ კითხვარს, ხოლო მეორე პირისპირ ინტერვიუს მარის არხის (ჭალის ტყის მიმდებარედ) დასახლების მაცხოვრებლებთან. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ტყეში არ არსებობს ინფრასტრუქტურა
- დაბინძურებულია მასში გამავალი ხელოვნური არხი, რომელსაც აქვს არასასიამოვნო სუნი
- მოუწესრიგებელია გზები და ბილიკები
- დანაგვიანებულია გარემო
- ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს წიდა საყარი

- დაზიანებულია მცენარეები
- პრობლემაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კუთხით
- მარის არხის დასახლებაში გამართული არაა ურბანული ინფრასტრუქტურის ელემენტები (საინჟინრო ქსელი, გზა, ტროტუარი, სოციალური ინფრასტრუქტურა)

ნაშრომში განხილული ლიტერატურისა და კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციები, იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ არსებული მდგომარეობა ნამდვილად რთულია, თუმცა ჭალის ტყეს აქვს განვითარების უდიდესი პოტენციალი. მიზნის მისაღწევად საჭიროა რიგი პრევენციული ღონისძიებების გატარება, პრობლემათა გადაჭრის კუთხით. ასევე თვითმმართველობის პოლიტიკური ნება და ქალაქის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში არსებული რეკომენდაციების აღსრულება. აუცილებელია ჭალის ტყის ტერიტორიის დაცვის ზონის შექმნა.

ჩემს მიერ შემუშავებული ჭალის ტყის განვითარების პროექტის მთავარი მიზანია, მისი ძირითადი ტერიტორიის ბუნებრივად შენარჩუნება, ხოლო გარკვეულ ზონებში მისი მრავალფუნქციური განვითარება, ასევე ქვემო ქართლის კუთხის ტურისტულ-გამანაწილებელი ცენტრის შეთავსება. საპროექტო ფუნქციათა ჩამონათვალი შემდეგია: არსებულ პარკთან კავშირი და მის მიმდებარედ მუზეუმ-პავილიონის განთავსება; საფეხმავლო, სარბენი და საველოსიპედო ბილიკების მოწყობა; ხელოვანთა კუნძული; ტროპიკული მცენარეების კუნძული; სათევზაო და საცურაო ტბების მოწყობა; მეურნეობა და ურბანული მეზაღეობა; საფესტივალო სივრცეების მოწყობა და სხვა.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: ჭალის ტყე, პარკი, რეკრეაცია, რუსთავი, მრავალფუნქციური, ხე-მცენარეები, ფრინველები, ტბა, არხი, მდინარე მტკვარი.